# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 179

„8" ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" გრანტის სახით თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" თანხის გადაცემის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 07 ივლისის №27.01.586 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის „თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებით" თანხის გადაცემაზე გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში 7 000 000 (შვიდი მილიონი) ევროს ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი